პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
6 სექტემბერი
1941 წ.
№ 211 (6216)
ფასი 15 კაპ.

საქართველოს სსრ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ჩვენი ტექნიკის მთელი სიმძლავრე — თავდაცვის სამსახურში

ხუთწლედების განმავლობაში საბჭოთა ხალხმა განახორციელა გენიალური სტალინური გეგმა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა. სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის გარეშე, მრეწველობაში და ტრანსპორტზე ახალი გიგანტური მშენებლობის გარეშე, აღმოსავლეთში მეორე სამკვანძურო-მეტალურგიული ბაზის შექმნის გარეშე, ფართოდ განშტოებული მანქანათმშენებლობის გარეშე, ტანკებისა და თვითმფრინავების წარმოების გარეშე ჩვენ უიარაღონი ვიქნებოდით თავით-ფეხამდე შეიარაღებული, ბოროტი და ულმობელი მტრის წინაშე. მკვეხარა ჰიტლერი მისთვის ჩვეული უვიცობით სწერდა თავის ბინძურ წიგნუკაში „ჩემი ბრძოლა“: „რუსეთს ჯერ კიდევ არ გააჩნია არცერთი თავისი საკუთარი ქარხანა, რომელსაც შეეძლოს მართლაც გააკეთოს, ვთქვათ, ნამდვილი ცოცხალი სატვირთო მანქანა“. ახლა ჰიტლერმა და გამხეცებული არამზადების მისმა ბანდამ იგრძნეს, თუ რას ნიშნავს არა მარტო ცოცხალი საბჭოთა სატვირთო მანქანები, არამედ ცოცხალი საბჭოთა შემმე ტანკები, ცოცხალი საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, ცოცხალი საბჭოთა ყუმბარმშენები და მოიერიშენი, ცოცხალი საბჭოთა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები, ნამმტყორცნები და ავტომატები.

„...საბჭოთა კავშირი სუსტი და თავდაცვისათვის მოუმზადებელი ქვეყნიდან გადაიქცა თავდაცვისუნარიანობის მხრივ მძლავრ ქვეყნად, ქვეყნად, რომელიც მზად არის ყოველი შემთხვევისათვის, ქვეყნად, რომელსაც შეუძლია დაამზადოს მასობრივი მასშტაბით თავდაცვის ყველა თანამედროვე იარაღი და მოამარაგოს ამ იარაღებით თავისი არმია გარედან თავდასხმის შემთხვევაში“ (სტალინი).

ახლა, როდესაც ჰიტლერელი მხეცების ვერაგული თავდასხმა მოხდა, ჩვენი ტექნიკის მთელი სიმძლავრე უნდა დაექვემდებაროს თავდაცვის საქმეს. ბრძოლებსა და მარტენებს, ბლუმინგებსა და საგლინავ დანადგარებს, საბურღავ ჩარხებსა და კრეკინგებს, საყელავ მანქანებსა და სანგრეგუროებს, ტურბინებსა და მოტორებს, დაზგებსა და ბოვებს, ექსკავატორებსა და ამწეებს, **ტექნიკის ყველა იარაღს, რომელიც კი ჩვენს სამშობლოს შეემატა, ჩვენ უნდა გამოვწუროთ ყველაფერი ბოლომდე, რათა მეტი იარაღი მივიღოთ მტრის შესამუსრავად და გასანადგურებლად.**

ჩვენი სანედლეულო წყაროები დაუშრეტელია. მტერმა მოახერხა დროებით დაეკავებინა კრივოი როგი, სადაც რკინის მაღაროები იყო. მით უფრო ენერგიულად უნდა განვითარდეს რკინის მადნის ამოღება ურალის, კუზბასის, ცენტრისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების უზარმაზარ საბადოებში. ყველა მექანიზმი, მთელი ტექნიკა გათხრასა და ამოღებაში უნდა ავამუშაოთ სრული სიჩქარით! კიდევ უფრო ფართოდ განვავითაროთ სტახანოვურ-სემიოვოლოსური მოძრაობა! უზრუნველვყოთ ბრძმედების ნორმალური მუშაობა ამჟამად და ზამთრის დროს! ასეთია ჩვენი მაღაროელების საბრძოლო ამოცანა.

ჩვენი მეტალურგები მოვალენი არიან განუხრელად ზარდონ თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება. საბჭოთა მეტალურგიის ძალაღი ტექნიკა საშუალებას აძლევს მას უმოკლეს ვადაში აითვისოს ომიანობის დროისათვის საჭირო ყოველგვარი პროფილისა და ხარისხის ნაწარმი. მომჭირნეობისათვის ბრძოლა, რაც მეტალურგებმა წარმატებით დაიწყეს ომამდე, გაათკეცებული ენერგიით უნდა სწარმოებდეს ამჟამად. შავი მეტალურგიის გაზრდილ ტექნიკურ კადრებს სავსებით შესწევთ ძალა შეამცირონ მადნის, კოქსის, კირ-ქვის, ქვანახშირისა და ელექტროენერგიის ხარჯი.

ომამდე, მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრების პროცესში დაგროვებულ ჭქნა ბრძმედების, მარტენებისა და საგლინავი დაზგების სიმძლავრეთა მართებული გამოყენების დიდი გამოცდილება. ახლა, ომის პირობებში, საგლინავი დაზგების ნაყოფიერების გადიდებას, ფოლადის ჩქარ დნობას, თუჯის გამოდნობის განუხრელ ზრდას უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობა აქვთ მაგნიტოგორსკის, სტალინსკისა და დონბასის ახალი მექანიზებული ქარხნების მუშაკებს. მაგნიტოგორსკის ქარხნის ხელმძღვანელებმა ჩვენს ქვეყანას უხდა მისცენ იმდენი ლითონი, რამდენიც მათ მოეთხოვებათ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან სერიოზული დახმარება გაუწიონ მათ ამ საქმეში.

საწარმოთა სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენებისათვის ბრძოლა წარმოადგენს აგრეთვე სათბობი მრეწველობის—ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაკთა უმნიშვნელოვანეს ამოცანას. ქვანახშირის შახტების ნელი ათვისება შეუწყნარებელია მშვიდობიანობის დროსაც, ხოლო ომის პირობებში კი სრულიად შეუწყნარებელია. ქვანახშირის ამოღებამ იმატა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება შეუძლებელია. რაც უფრო მეტია ქვანახშირი, მით უფრო მეტია კოქსი, ლითონი, ელექტროენერგია, მანქანები!

ასევე საზიანო იქნებოდა, თუ კი მიღწეულს დასჯერდებოდნენ ნავთის მუშაკები. ნავთის პროდუქტების ხარჯი ომის დროს უდიდესად მატულობს. უბენზინოდ არ არის მოტორი, უმოტოროდ არ არის თვითმფრინავი, ტანკი, ავტომობილი. სახელოვან ბაქოელებს, გროზნელებს, მაიკოპელებს ესმით ეს და ისინი ზრდიან ნავთის მოპოვებასა და გადამუშავებას. ნავთის მუშაკები, ისევე როგორც მეშახტეები, როგორც მეტალურგები, უმაგალითო ენტუზიაზმით მუშაობენ. მაგრამ მათ ჯერ კიდევ სულაც არ ამოუწურავთ ყველა შესაძლებლობა. კერძოდ, „მეორე ბაქოს“ — ვოლგისპირა და ურალისპირა რაიონების უმდიდრესი რესურსები გაცილებით მეტი ენერგიით უნდა იქნას ამოძრავებული.

უმდიდრესი ტექნიკით არის აღჭურვილი ჩვენი მანქანათმშენებლობა — თავდაცვითი მრეწველობის ბაზა. არამარტო ქარხანა-გიგანტებს, არამედ მცირე მანქანათმშენებელ საწარმოებსაც მოეპოვებათ უდიდესი შესაძლებლობა, რასაც როდი იყენებენ მთლიანად. საჭიროა წარმოება შევუგუოთ ომის პირობებს. საჭიროა მტკიცედ გავაუმჯობესოთ ტექნიკა, ტექნოლოგია, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ათვისების ჩქარი მეთოდები, ყველაზე უფრო ხელმომჭირნე საწარმოო პროცესები.

სცდება ის სამეურნეო მუშაკი, რომელიც ასე მსჯელობს: „ახლა ომია, ტექნიკისათვის არა გვცალია, საჭიროა შეკვეთების შესრულებაო“. სწორედ ომი, სწორედ სამხედრო შეკვეთები აჯალდებულებენ წარმოების ყველა მეთაურს წინანდელზე უფრო წარმატებით გადასწყვიტოს ტექნიკური საკითხები, განსაკუთრებით ისეთი საკითხები, როგორიც არის ტექნოლოგიის გაუმჯობესება, როგორიც არის მოწყობილობათა დანერგვა, სტანდარტიზაცია და ნორმალიზაცია, შემცვლელთა გამოყენება, მოწყობილობის მოდერნიზაცია, შრომატევადი სამუშაოს მექანიზაცია და სხვ.

ცნობილია, რომ ომი ტექნიკას აჩქარებს. ამოცანა ის არის, რომ, იარაღის წარმოების დღითი-დღე გადიდებასთან ერთად, გავაუმჯობესოთ იგი, გამოვიგონოთ ახალი. აქ არის კონსტრუქტორთა მოღვაწეობის უფართოესი ასპარეზი. კონსტრუქტორებს—ტექნიკის ნოვატორებს — დიდად აფასებს ჩვენი ხალხი, მათი სახელი განთქმულია მთელს ჩვენს ქვეყანაში, ხალხი პატივითა და დიდებით მოსავს მათ. სსრ კავშირის გამოჩენილმა სამხედრო კონსტრუქტორებმა სამართლიანად მიიღეს სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება. ამხანაგი სტალინი პირადად უწევს დიდ დახმარებას და ყურადღებას უახლესი იარაღის შემომქმედთ. დაე კიდევ უფრო ძლიერად სცემდეს კონსტრუქტორული და გამომგონებლური მოღვაწეობის მაჯა, დაე საბჭოთა ადამიანების ნიჭი და ცოდნა განუწყვეტლივ ამდიდრებდეს წითელი არმიის შეიარაღებას.

„პრავდის“ მოწვინავე, 5/IX.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 სექტემბრის დილის ცნობა

4 სექტემბრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ მტერთან ბრძოლას მთელს ფრონტზე.

ჩვენი ავიაცია თავს ესხმოდა მტრის ჯარებსა და მის აეროდრომებს.

* * *

იმ ნაწილმა, რომელსაც ამხ. კოზლოვი მეთაურობს, მედგარ ბრძოლაში დიდი ზარალი მიაყენა გერმანელთა მე-263 ქვეითს დივიზიას. ფაშისტთა დივიზიის გასანადგურებლად საბრძოლო მოქმედება შემდეგნაირად ვითარდებოდა. გერმანელებს ეკავათ ბოკოვოს მაღლობი და მისი მისასვლელები. ამხ. კოზლოვის ნაწილის მებრძოლები მედგრად ერეკებოდნენ მტერს მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან და აიძულებდნენ ერთი-მეორეზე დაეთმო სოფლები. ყოველ მიჯნაზე გერმანელები მოკლულთა და დაჭრილთა სახით ასობით ჯარისკაცებს ჰკარგავდნენ, თავზარდაცემულნი ჰყრიდნენ იარაღს და შტაბის ქონებას. გერმანელთა დივიზიის მეთაურმა, გენერალმა ჰეკელმა, ბოკოვოს აღმოსავლეთისაკენ რომ დაიხია, ბრძანება გამოსცა, რომელიც დივიზიაში საბრძოლო სულიკვეთების დაცემას მოწმობს. „ერთერთ ასეულზე მტრის თავდასხმის დროს, — ნათქვამი იყო ბრძანებაში, — რუსებმა ასეული სულიერად გასტეხეს. რამდენიმე რუსი ასეულს ზურგში მოექცა. ჩვენი ასეულის მრავალმა ჯარისკაცმა ბრძოლის ველი დასტოვა და სატვირთო მანქანებით ფრონტის ხაზს რამდენიმე კილომეტრით გასცილდა. ამ საქციელმა ხელი შეუწყო პანიკის წარმოშობას“. გენერლის ბრძანებამ გერმანელ ჯარისკაცებს საბრძოლო სულისკვეთება ვერ განუმტკიცა. ფაშისტებმა ვერ შესძლეს გამაგრებულიყვნენ და მაღლობი შეინარჩუნებინათ. საბჭოთა არტილერისტებმა მტრის სიმაგრეები დაანგრიეს. ამხ. ისაკოვისა და ტიხონოვის ქვედანაყოფებს, ჩვენი არტილერიის მძლავრი ცეცხლის დახმარებით, იერიში მიჰქონდათ. გერმანელებმა კვლავ დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი და ტყვეები. მე-11 ასეულის ჯარისკაცმა იოზეფ ფასტბერდერმა, რომელიც მაღლობზე შეიპყრეს წითელარმიელებმა, განაცხადა: „მარტო ამ ბრძოლაში ჩვენმა დივიზიამ ოფიცერთა შემადგენლობის ნახევრამდე დაჰკარგაო“. გერმანელთა მე-263 დივიზიამ მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით 6 დღის განმავლობაში 7 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. დივიზიის ნაშთები ხელახლა შესადგენად ზურგში გადაიყვანეს.

* * *

ფრონტის დასავლეთი მიმართულებით მომქმედმა ავიაშეიარეთმა, რომელსაც ამხ. ალადინსკი მეთაურობს, გაანადგურა მტრის ჯავშანსატანკო და მოტორიზებული კოლონების დიდი შეჯგუფება. მფრინავებმა ამხ. დრუჟკოვმა, ტრეშჩევმა და ზოცმა 15-ზე მეტი ტანკი დაანგრიეს. ორი დღის განმავლობაში ავიაშეიარეთმა მოსპო დაახლოებით 1.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, გერმანელთა 80 ტანკი, 600 ავტომანქანა და 200 ცხენი. საბრძოლო ოპერაციებიდან გამობრუნებისას, ჩვენი მფრინავები მტრის 15 თვითმფრინავს შეხვდნენ. გაჩაღდა საჰაერო ბრძოლა, რომლის შედეგადაც ჩამოგდებულია გერმანელთა 6 თვითმფრინავი: 3 „მესერშმიტი—109“, ერთი „მესერშმიტი — 110“ და 2 უახლესი ავიაგამანადგურებელი „ჰაინკელი—113“. მფრინავებმა რომანენკომ, შიდლოვსკიმ და ტრეშჩევმა თითო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. უფროსმა ლეიტენანტმა ზოცმა და მფრინავმა რიბკინმა მიწაზე მოიმწყვდიეს და მოსპეს „მესერშმიტი—109“. ნაწილის კომისარმა ამხ. ზუბმა ჩამოაგდო „ჰაინკელი—113“.

* * *

უმცროს ლეიტენანტ ჩერნიაკის კატარღა ახლდა ორ ტრანსპორტს. თვალმახვილმა მეთვალყურეებმა გზაში მტრის წყალქვეშა ნავის პერისკოპი შეამჩნიეს. კატარღამ იერიში მიიტანა ნავზე, სიღრმის ყუმბარები ესროლა მას და ჩასძირა. ზღვის ზედაპირზე უზარმაზარი ბუშტები გაჩნდა.

რამდენიმე საათის შემდეგ კატარღის ეკიპაჟმა მტრის მეორე წყალქვეშა ნავი აღმოაჩინა, რომელიც ტრანსპორტებისაკენ მოემართებოდა. ნავს სიღრმის ყუმბარები დააყარეს. ყუმბარების გასაღრმის შემდეგ ჰიდროაკუსტიკურმა აპარატებმა გვიჩვენეს, ხავი გარბისო. მაშინ კატარღამ ახალი იერიში მიიტანა. კვლავ დაუშინეს სიღრმის ყუმბარები. მეორე იერიშის შემდეგ აპარატებმა ნავის მოძრაობა ვეღარ შეამჩნიეს, კატარღამ ორივე ტრანსპორტი დანიშნულების ადგილას უვნებლად მიიყვანა.

* * *

კაპიტან მარკოვკინის ესკადრილიის 4 ყუმბარმშენს თავს დაესხა 8 „მესერშმიტი“. წამყვანმა მფრინავმა, ლეიტენანტმა ბოლშაკოვმა გადასწყვიტა გაემართა უთანასწორო ბრძოლა გერმანიის ავიაგამანადგურებლებისათვის. ფაშისტმა მფრინავებმა იერიში მიიტანეს ლეიტენანტის თვითმფრინავზე, მაგრამ გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მარჯვე მსროლელმა რადისტმა ბანჩენკომ ზედიზედ ჩამოაგდო 3 „მესერშმიტი“. ორი სხვა ყუმბარმშენის მსროლელმა რადისტებმა — ამხ. ლოტოვმა და რაგულინმა—მტრის თითო თვითმფრინავი ჩამოაგდეს. 3 გადარჩენილი ჰიტლერელი მფრინავი უკუიქცა. ჩვენმა ყუმბარმშენებმა, საჰაერო ბრძოლა რომ დაამთავრეს, გერმანელთა შენიღბული მოტოკოლონები შეამჩნიეს. საბჭოთა მფრინავები დაუყოვნებლივ ეკვეთნენ მათ, მოსპეს გერმანელთა ტანკები და ავტომანქანები, ხოლო შემდეგ დაბლა ფრენით ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჰფანტეს გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა, რომელიც ფრონტისაკენ მოიწევდა.

* * *

ჩრდილოეთის ფლოტის საზღვაო ავიაციის ნ. ბაზის თვითმფრინავები წარმატებით ანადგურებენ ფაშისტთა ხომალდებსა და სახმელეთო ნაწილებს. მტრის უყმბარმშენები მრავალჯერ შეეცადნენ იერიში მოეტანათ ბაზებზე. მაგრამ მათ მუდამ უკუაქცევდნენ საბჭოთა მეზღვიტეები და სპობდნენ ჩვენი ავიაგამანადგურებლების მფრინავები. ბაზის გარემომცველ კლდეებზე გერმანელთა 100-ზე მეტი თვითმფრინავი დაიმსხვრა. ამ დღეებში, მორიგი თავდასხმის დროს, ფაშისტებმა 13 თვითმფრინავი დაჰკარგეს.

* * *

ათეულის მეთაური, სერჟანტი არკადიევი მებრძოლთა ჯგუფითურთ მოტორიანი ნავით ფარულად შორს ზურგში მოექცა თეთრფინელებს. ღამით მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ფინელთა მძიმე არტილერიის დივიზიონზე. მათ ამოხოცეს ჯარისკაცები, მწყობრიდან გამოიყვანეს 3 ქვემეხი და მოსპეს დიდძალი საომარი მასალა.

* * *

ამ დღეებში ჩვენმა ავიაციამ გაანადგურა მტრის 2 აეროდრომი, რომელიც ილმენის ტბის დასავლეთით მდებარეობდა. საბჭოთა ყუმბარმშენები მოულოდნელად დაეცხნენ თავს აეროდრომებს. გერმანიის ავიაგამანადგურებელი, რომელიც ცდილობდა აფრენილიყო, ავიანწილის მეთაურმა, მაიორმა გრუზდევმა აფრენის დროს მოსპო. გერმანელთა ბატარეებმა ძლიერი სროლა ასტეხეს, მაგრამ ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა და მოიერიშეებმა მტრის საზენიტო ქვემეხები ჩააჩუმეს. საზენიტო ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების გუნდები რომ მოსპეს, საბჭოთა მფრინავებმა მთლად გაანადგურეს და ცეცხლი წაუკიდეს აეროდრომებზე მყოფ გერმანელთა თვითმფრინავებს. ორ აეროდრომზე ჩვენმა მფრინავებმა მოსპეს მტრის 74 მანქანა, რომლებიც გერმანელთა საავიაციო კორპუს „რიხტჰოფენის“ შემადგენლობაში შედიოდნენ.

* * *

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში შავი ზღვის ფლოტის ყუმბარმშენმა ავიაციამ მოსპო გერმანელთა 40-ზე მეტი ტანკი და ავტომანქანა. ოდესის მისადგომებთან გერმანიის ჯარებთან ბრძოლაში საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონს [illegible] მე ასი გერმანელ-რუმინელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 300-ზე მეტი ჯარისკაცი. ნადავლში არის 2 ქვემეხი, 5 ნამმტყორცნი და 18 ტყვიამფრქვევი.

* * *

ასეულ ათასობით საზოგადოებრივი მუშაკი ქალები აქტიურად მონაწილეობენ თავდაცვითს მუშაობაში და ეხმარებიან წითელ არმიას საზიზღარი მტრის განადგურებაში. ლენინგრადის სამკერვალო სახელოსნოებში, რომლებიც მომსახურებას უწევენ ჰოსპიტლებს, უგასამრჯელოდ მუშაობს სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა პროფესორებისა და თანამშრომლების 150-ზე მეტი ცოლი. დიდ თავდაცვითს მუშაობას ეწევა მოსკოვის სამეცნიერო მუშაკთა ცოლების საბჭო. საბჭოს წევრის ამხ. გეროლსკაიას ინიციატივით შექმნილია ბრიგადა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურას აგროვებს ჰოსპიტლებისათვის, კონცერტებს აწყობს დაჭრილთათვის, გაზეთებს კითხულობს მოკეთებულ მეომართა პალატებში. მეცნიერი მუშაკის ცოლმა მარიამ სიმონის-ასულმა ბურკოვამ ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიასთან მოაწყო სამედიცინო დების კურსები, საცხოვრებელ სახლებთან შეჰქმნა მთელი რიგი სანიტარული საგუშაგოები და ყოველდღიურად ხელმძღვანელობს მათს მუშაობას. სამედიცინო დებისა და სანიტარი რაზმელი ქალების მრავალრიცხოვან კურსებზე სწავლობენ ათასობით ქალები—მეცნიერი თანამშრომლები და მეცნიერების მოღვაწეთა ცოლები. ბევრი მათგანი უკვე მუშაობს ჰოსპიტლებსა და ლაზარეთებში.

სამამულო ომის დღეებში გაცხარებით მუშაობენ ქ. მოსკოვის თავდაცვა-ავიაქიმის აქტივისტები — საზოგადოებრივი მუშაკი ქალები. ინსტრუქტორმა — საზოგადოებრივმა მუშაკმა, დიასახლისმა ვაკულინამ ომის განმავლობაში სქთ და მსთ რამდენიმე ათეული ნიშნოსანი მოამზადა, ხოლო დიასახლისმა ა. ა. ორეხოვამ სქთ და მსთ ნორმების ჩასაბარებლად ასზე მეტი კაცი მოამზადა. დიასახლისების კლიმენკოს და ასტახოვას ინიციატივით მე-2 ტვერსკაია-იამსკაიას ქუჩის № 26 და 28 სახლებში ქალებმა სამი საათის განმავლობაში 102 კილოგრამი ფერადი ლითონი შეაგროვეს. მოსკოვის ქარხანა „მოსკაბელის“ მუშა-ქალებმა თავისი რაიონის—მოსკოვის პერვომაისკის რაიონის საცხოვრებელ სახლებში ერთი დღის განმავლობაში რამდენიმე ტონა შავი ლითონი შეაგროვეს. ლითონის ჯართის შეგროვებაში კუთვნილი ფული ქალებმა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ფონდს გადასცეს.

ურუგვაის მშრომელ სლავთა კავშირის წერილი ამხანაგ სტალინისადმი

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). ურუგვაის მშრომელ სლავთა კავშირმა შემდეგი წერილი გაგზავნა ამხანაგ სტალინის სახელზე:

„ურუგვაის მშრომელი სლავები მიესალმებიან საბჭოთა არმიას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს და ავიაციას და ამხანაგურ სალამს უძღვნიან საბჭოთა მშრომელებს. ამ მრისხანე ჟამს, როცა სისხლმოწყურებული მტერი ცდილობს მოსპოს ყველა თქვენი მიღწევა და გაძარცვოს თქვენი ქვეყანა, ჩვენ თქვენთანა ვართ. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხალხი საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებს და ბოლოს მოუღებს ბარბაროსული ფაშისტური ურდოების ძალადობას. სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები ათასობით მშრომელი სლავები მზად არიან ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირში და საბჭოთა მშრომელებთან ერთად იბრძოლონ კაცობრიობის საერთო მტრის წინააღმდეგ.

თქვენი პირველი მოწოდებისთანავე შევქმნით მოხალისეთა არმიას და თქვენთან წამოვალთ. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის გამარჯვება ყველა სლავის გამარჯვებას, აგრეთვე მთელი კაცობრიობის გამარჯვებას ნიშნავს. ამიტომ ჩვენ თქვენს განკარგულებაში ვართ. გაუმარჯოს წითელ არმიას, წითელ საბჭოთა ფლოტსა და ავიაციას! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს! წინ, საბჭოთა ხალხო, გამარჯვება თქვენია! ჩვენ თქვენთანა ვართ.

ურუგვაის მშრომელ სლავთა
კავშირის თავმჯდომარე
ივანე ვასტჩუკი,
თავმჯდომარის მოადგილე
პეტროვსკი,
მდივანი **ივანე კროვი**
და სხვები“.

მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კოჯი

ა. წ. 4 სექტემბერს მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი კოტი.

მოსკოვში ბ-ნ ს. კოტს შეხვდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. ფ. ფ. მოლოჩკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგე ამხ. ნ. ვ. ნოვიკოვი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი ამხ. ნ. ევსტიგნეევი, პოლონეთის საელჩოს შემადგენლობა დროებითი საქმეთა რწმუნებულის, ბ-ნ რეტინგერის მეთაურობით, დიდი ბრიტანეთის საელჩოს წევრები საელჩოს მრჩეველ ბ-ნ ბაგალეის მეთაურობით და ჩეხოსლოვაკიის, მისიის წევრები საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის, ბ-ნ ფირლინგერის მეთაურობით.

ახალგაზრდობის XXVII საერთაშორისო დღის წინ

ხვალ ეწყობა კომკავშირული კვირაობა

ხვალ, 7 სექტემბერს, ტარდება ახალგაზრდობის XXVII საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი სრულიად-საკავშირო კომკავშირული კვირაობა. ამ დღეს ჩვენი ქვეყნის მილიონობით ახალგაზრდა პატრიოტები გაიჩაღებენ ენერგიულ მუშაობას საწარმოებში, საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში და მთელ გამომუშავებულ თანხას თავდაცვის ფონდში შეტანენ.

მთელს საბჭოთა კავშირში გაცხოველებით მიმდინარეობს კვირაობისათვის სამზადისი. კომკავშირული ორგანიზაციების ამ ახალმა პატრიოტულმა წამოწყებამ აქტიური გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში, მას მხარი დაუჭირეს მშრომელთა ფართო მასებმა. დღეს, ისე როგორც 17 აგვისტოს ჩატარებულ სრულიად-საკავშირო კვირაობისას, კომკავშირელებთან, ახალგაზრდებთან ერთად სამუშაოზე მასობრივად გამოვლენ მუშები, კოლმეურნეები და თავიანთი თავდადებული მუშაობის შედეგებს თავდაცვის ფონდს შემატებენ.

კომკავშირულ ორგანიზაციებს კვირაობის ნაყოფიერად, ორგანიზებულად მოწყობაში ენერგიულ დახმარებას უწევენ პარტიული ორგანიზაციები. ამ მხრივ კარგი მაგალითი გვიჩვენა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომმა, რომელმაც პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კომკავშირელებს, ახალგაზრდებს კვირაობის ჩატარებაში.

ახალი საწარმოო წარმატებების მოპოვება, თავდაცვის ფონდის გაძლიერება ახალგაზრდობის XXVII საერთაშორისო დღის საუკეთესოდ აღნიშვნა იქნება. ამისათვის საჭიროა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კვირაობაში ჩაბან ყველა კომკავშირელი, ყველა ახალგაზრდა, ამ საქმეში მეტი რაოდენობით მიიზიდონ მუშები და კოლმეურნეები, გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება და მიაღწიონ დღიური გეგმების დიდი გადაჭარბებით შესრულებას. ყველა ახალგაზრდამ, ყველა მშრომელმა უნდა იცოდეს, რომ კვირაობის მოწყობით ჩვენ ვეხმარებით ჩვენს სახელმწიფოს თვითმფრინავების, ტანკების მეტი რაოდენობით გამოშვებაში, ქვემეხების, ტყვიამფრქვევებისა და სხვა საბრძოლო იარაღებისა და ჭურვების მეტი რაოდენობით დამზადებაში, რაც მოხმარდება ჩვენს ქვეყანაში შემოსეულ ჰიტლერელთა ურდოების საბოლოო განადგურებას.

კომკავშირელებო, ახალგაზრდობავ, გამოდით ხვალ ქარხნებში, ფაბრიკებში, რკინიგზაზე, მაღაროებსა და მინდვრებში სამუშაოდ, გვიჩვენეთ შრომითი გმირობისა და სიმამაცის ბრწყინვალე ნიმუშები და ამით კიდევ უფრო ავიმაღლოთ **და გაამტკიცოთ** ჩვენი სამშობ**ლოს თავდა**ცვითი ძლიერება.

5 სექტემბრის საღამოს ცნობა

5 სექტემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები აწარმოებდნენ ორძოლებს მტერთან მთელს ფრონტზე.

არასრული ცნობებით, 3 სექტემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანიის 33 თვითმფრინავი. ჩვენ 27 თვითმფრინავი დაკარგეთ.

* * *

კავალერისტ ყაზახთა ჯგუფი პოლკოვნიკ დოვატორის მეთაურობით ფაშისტთა ზურგში შეიჭრა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ანადგურებდა გერმანელთა ჯარებსა და კომუნიკაციებს. პირველსავე ბრძოლაში ყაზახებმა მთლად გაანადგურეს გერმანიის მე-430 ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონი. ყაზახები იჭერდნენ კომუნიკაციებს, არღვევდნენ კავშირგაბმულობას, ხელთ იგდებდნენ რადიოსადგურებს, ცეცხლს აძლევდნენ მტრის საწყობებს, ჰკაფავდნენ გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. გერმანელთა სარდლობამ გამოსცა სპეციალური ბრძანება ყაზახთა რაზმის განადგურების შესახებ. მეორე დღეს ეს ბრძანება ხელში ჩაუვარდა ჩვენს კავალერისტებს. ყაზახები გზას იკაფავდნენ ჭაობებსა და ურრან ტყეებზე და იქ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, სადაც მათ გერმანელები ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ. ერთერთ ბრძოლაში ყაზახებმა გაანადგურეს კიდევ მტრის ერთი ბატალიონი, მოსპეს 3 ქვემეხი, ხელთ იგდეს 4 ნამმტყორცნი, 9 დაზგის ტყვიამფრქვევი, 16 ხელტყვიამფრქვევი, რადიოსადგური, დასწვეს ავტომანქანები და ტანსაცმელისა და სურსათის საწყობები. შემდეგ ყაზახები თავს დაესხნენ გერმანელთა ავტოკოლონას და მოსპეს 138 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაამსხვრიეს 58 სატვირთო ავტომანქანა, 3 მსუბუქი ავტომანქანა, საწვით სავსე 3 ცისტერნა. გერმანელები ჩვენი ცხენოსნების წინააღმდეგ საბრძოლველად ტანკებსა და თვითმფრინავებს გზავნიდნენ, უსაფრდებოდნენ მათ, მაგრამ ყაზახების ხელში ჩაგდება შეუძლებელი გახდა. კავალერიის ჯგუფმა თავისი გაბედული რეიდით დიდი ზარალი მიაყენა მტერს.

* * *

მფრინავ-გამანადგურებელმა ლეიტენანტმა კატრიჩმა იერიში მიიტანა ფაშისტთა ყუმბარმშენ „დორნიე-217“-ზე, რომელიც დიდ სიმაღლეზე მოფრინავდა. ფაშისტმა საბჭოთა მფრინავის იერიშს ვერ გაუძლო და გაქცევას შეეცადა. ბრძოლის დროს ამხ. კატრიჩს საომარი მასალები გაუთავდა. მაიცამ მფრინავმა გადასწყვიტა პირდაპირ დასჯახებოდა მტრის თვითმფრინავს. ამხ. კატრიჩი უშუალოდ მიუახლოვდა ფაშისტს და თავისი თვითმფრინავის დაჯახებით მარცხენა კილი მოჰგლიჯა გერმანელის მანქანას. „დორნიე“ მიწას დაენარცხა. მფრინავმა კატრიჩმა მანქანა შეინარჩუნა და მშვიდობით დაეშვა თავის აეროდრომზე.

* * *

მესანგრეთა ბატალიონს ამხ. ჩერვინსკის მეთაურობით, რომელიც ფრონტის სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მოქმედებს, თავს დაესხა მტრის ჯარის მოტორიზებული ნაწილი. საბჭოთა მესანგრეებმა ბრძოლას თავი არ აარიდეს, მათ მოსპეს 65 გერმანელი ოფიცერი და უნტერ-ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი. წითელარმიელებმა ხელთ იგდეს მტრის 6 ქვემეხი, 6 ნახევრადჯავშნიანი საბუქსირო მანქანა, ბევრი ავტომანქანა, მოტოციკლები, ველოსიპედები, იარაღი და საომარი მასალები.

* * *

შავი ზღვის ფლოტის ავიაციამ უკანასკნელ ორ დღეში ყუმბარებით მოსპო გერმანელთა 25-ზე მეტი ტანკი, 100-ზე მეტი ავტომანქანა და 3 სამხედრო ეშელონი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ იქნა ფაშისტთა 7 ავიაგამანადგურებელი. განსაკუთრებით ისახელეს თავი ორდენოსანი მფრინავის უფროს ლეიტენანტ დმიტრიევსკის ეკიპაჟმა, რომელმაც 2 „მესერშმიტი“ ჩამოაგდო, და ლეიტენანტ ბოლშაკოვის ეკიპაჟმა, რომელმაც ჩამოაგდო მტ

ქალაქ კ-ს გმირი დამცველნი

მოამძმედი არმია, 3 სექტემბერი. საღამოვდება. ბინდის მონაცრისფრო სპბურში ნათლად მოსჩანს მრავალსართულიან შენობათა კონტურები. ქუჩების გასწვრივ და მოედნების გარშემო თითქოს გუშაგები არიანო, გრძლად ჩამწკრივებულან ქოჩორა წაბლის ხეები, აშოლტილი ალვის ხეები. უხვწყლიანი მდინარიდან გრილი ნიავი ჰქრის. ჯერ კიდევ ხმაურობაა ფართო ტროტუარებზე, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა სპექტაკლები თეატრებში, სეანსები კინოებში, ხოლო შენობათა კარებთან გამოჩნდნენ სამოქალაქო ტანისამოსჩაცმული ადამიანები, რომლებსაც მხარზე აღრწინაღები აქვთ გადაკიდებული. გზაჯვარედინებზე შეიარაღებული პატრულები დადგნენ.

ფრონტი ახლოსაა. დრო და დრო ქარს მოაქვს ქვემეხების გრიალი: ურტყამს ჩვენი შორსმსროლელი არტილერია. ჰაერში ისმის მოტორების ყრუ გუგუნი. ფრონტისაკენ მიემართებიან მძიმედ დვირთული ყუმბარმშენები, ტრიალებენ მარდი ავიაგამანადგურებლები, რომლებიც დარაჯობენ ქალაქ კ-ს საჰაერო მისადგომებს.

სიმტკიცე! შეშფოთების არავითარი ნიშანწყალი! ეს გამოსჭვივის ყოველ გამომეტყველებაში, ყოველ ეფსტში. ყველანი, ვისაც ეხედავთ ქუჩაში, საწარმოებში, ტრამვაისა და ტროლეიბუსში, ქალაქის დამცველები მისი მებრძოლები არიან. ისინი არიან გმირი ადამიანები, გულადობით აღსავსენი, მზადმყოფნი გასწირონ თავი, რათა მტერი გაანადგურონ.

ღილაადრიან, როცა ქარხნებში ახალი ცვლა მოდის, ათობით სატვირთო მანქანა მიჰქრის შორს, ქალაქგარეთ. ქალები — დიასახლისები, ინსტიტუტის სტუდენტი ქალები, უფროს კლასთა მოწაფე ქალები, რომლებსაც ფერადფერადი თავსაფრები ჰხურავთ, საბრძოლო სამღერებს მღერიან და თავდაცვითს სამუშაოთა რაიონებში მიდიან.

თავდაცვითს სამუშაოთა ხაზიდან სულ რამდენიმე კილომეტრზე ბრძოლაა. მტერმა თავისი საუკეთესო ნაწილება გამოიყვანა, რათა ქალაქისაკენ გამოიჭრას. მაგრამ იგი ყველგან სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება. № ნაწილი, რომელსაც ამბ. გორშკოვი მეთაურობს, მაგრად ურტყამს მტერს. მისი იერიშის შედეგად ფაშისტები უკუიქცნენ, თან ათასობით მოკლულნი და დაჭრილნი დასტოვეს, უდიდეს ოლს ასრულებს მაიორ პოდოინიკინის საარტილერიო ნაწილი. იგი მთელი დღე-ღამეების განმავლობაში მეთოდური ცეცხლით ჰქანცავს მტერს. ცეცხლმა აიძულა გერმანელები მიწაში ჩაფლულიყვნენ, ხშირად გამოეცვალათ ნაღმმტყორცნებისა და ქვემეხების პოზიციები. მთლიანად იჩენს თავს ქალაქის დამცველ ნაწილთა საარტილერიო ქვემეხების ძალის სიხუსტე.

პაპანაქებისაგან დამსკდარ მიწაში ამოთხრილი და შენიღბულია ბლინდაჟები, ტყვიამფრქვევთა ბუდეები, მსროლელთა სანგრები. როცა საღამოს ნისლი მინდორს მოეფინება და ტყეს ბინდი მოიცავს, აქეთ, სანგრებისაკენ, მშრომელთა დელეგატები მოდიან. მათ მებრძოლებისა და მეთაურებისათვის საჩუქრები მოაქვთ: პაპიროსები, კონფეტები, ხილი, შოკოლადი, ოდეკოლონი, წერილები.

ქალაქში შექმნილია სახალხო ლაშქრის ბატალიონები. მტერი, რომელსაც მაშველი ძალა მოუვიდა, — აი თითქოს გამოიჭრება, მაგრამ ბრძოლაში წითელარმიელებთან ერთად შეიარაღებული ხალხის ბატალიონები ჩაებნენ.

ერთერთი ბატალიონის მეთაური, აკაკი დავითის-ძე კუჭუხიძე მოგვითხრობს:

— ისინი — ვაგონშემკეთებელნი, ტყისდამშუშავებელნი, მეკონდიტრეები, სტუდენტები — გმირებივით ებრძოდნენო.

სახალხო მოლაშქრეებს სროლა აუტეხეს. ასეულის მეთაური კლუმჩევი 12 მებრძოლითურთ მიეპარა მტრის ნაღმმტყორცნთა ბატარიას და ყუმბარებით მოსპო იგი. საკონდიტრო ფაბრიკის მუშა სემიონოვსკი მეკავშირედ იყო ბატალიონის მეთაურთან. ძლიერ ცეცხლში მას ბრძანებები მიჰქონდა ასეულებისა და ოცეულების მეთაურებისათვის და უკან ბრუნდებოდა მათი მოხსენებითი. როცა გახურებული ბრძოლის დროს ერთერთ ასეულს ტყვიამფრქვევი გაუფუჭდა, სემიონოვსკიმ იგი საფარში გამოათრია და სწრაფად შეაკეთა. რამდენიმე წუთის შემდეგ ტყვიამფრქვევი კვლავ უშენდა მტერს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა დავიდოვმა ბრძოლის ველზე შესცვალა ასეულის მეთაური და საიერიშოდ გაუძღვა მებრძოლთ. ასეულმა ხელთ იგდო მტრის რამდენიმე წერტი. თვით დავიდოვმა მოსპო გერმანელთა ტყვიამფრქვევის გუნდი. დავიდოვი დასჭრეს, მაგრამ იგი ბრძოლას განაგრძობდა.

როცა მამაცთა სიკვდილით დაეცა ათეულის მეთაური, თერმოსის ქარხნის მუშა გენდლიახი, ათეულს სათავეში ხე-ტყის დამმუშავებელი ქარხნის მებრძოლი ბერძენიშვილი სიროტა ჩაუდგა. სწრაფი იერიშით დაკავებულ იქნა მტრის ტყვიამფრქვევის სანგარი.

ყველანი სიამაყით ლაპარაკობენ ბატალიონის ფერშალ-ქალი ზა მუხინაზე, ოცი წლის ქალიშვილზე, რომელსაც უაღრესად ცხარე შეტაკებათა დროს ხედავდნენ. მან ცეცხლიდან ოცი დაჭრილი გამოიყვანა.

სახალხო ლაშქრის ადამიანთა შესანიშნავი საქმეები მჭიდროდ ეხსკვება წითელი არმიის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა გმირობას, რომლებმაც ცოტა სახელოვანი ფურცელი როდი ჩასწერეს სამამულო ომის მატიანეში.

მტერი ვერ შემოვა! ამაში დარწმუნებულია ქალაქის ყველა ცხოვრები. დაუშრეტელ ნაკადად ჩუხჩუხებს ცხოვრება ყოველ უბანში. გრაფიკით იგზავნება მატარებლები. ხორმალურად მუშაობს ქალაქის ტრანსპორტი. ვაჭრობაა მაღაზიებში. ბაზრებზე ბლომადაა პროდუქტი, რომელიც კოლმეურნეებს საგარეუბნო სოფლებიდან შემოაქვთ. დაიწყო სასწავლო წელი.

მხოლოდ ხანდახან შემოიჭრება ქალაქის ცხოვრებაში საჰაერო განგაშის სიგნალები. საწარმოებში, დაწესებულებებსა და სახლთ-სამმართველოებში თავდაცვის ჯგუფები მზად არიან ბრძოლისათვის.

ქალაქის თავზე ფაშისტთა თვითმფრინავი გამოჩნდა. ჩვენმა მეზენიტეებმა ინტენსიური სროლა აუტეხეს და მტრის მანქანის ერთერთი მოტორი დაიზიანეს. მანქანამ მაღლა და სწრაფად ფრენის უნარი დაკარგა და ქალაქის მახლობლად დაეშვა. მფრინავები მაშინვე ხელთ იგდეს ჩვენმა მებრძოლებმა.

ჩვენ დავესწარით ფაშისტთა ყუმბარმშენის ეკიპაჟის დაკითხვას. მშვიდობიანნი მოსახლეობის ულმობელი მკვლელები საზიზღრად, უბადრუკად გამოიყურებოდნენ. ისინი დაბნევით და ენაბორძიკობით ლაპარაკობდნენ სიხსლიან რეიდებზე პოლონეთში, საფრანგეთში, ენაწაბორძიკობით ითხოვდნენ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ მათთვის.

— რა მიზანი ჰქონდა ქალაქ კ-ზე თქვენს თავდასხმას?

— ჩვენ დასაზვერავად მოვფრინავდით, განზრახვა გვქონდა ფოტოგრაფიულად გადაგვეღო ქუჩები, ადამიანთა და ტრანსპორტის მოძრაობა ქალაქში და გზებში.

— მერე რა ნახეთ?

—ჩვენები ამტკიცებდნენ, ქალაქი ჩაკვდაო, მაგრამ სულ სხვა რამ ვნახეთ. დიდი სიმაღლიდანაც კი ადვილი დასანახი იყო გაცხოველებული ქუჩები, ტრამვაები, ავტომობილები,—ვვიპასუხებს მექანიკოსი კარლ-ჰაიზე ვაინემი. თქვენი მეზენიტეები კი მარჯვედ ისვრიან,—აღიარებს იგი.

კ-ს გმირმა დამცველებმა თავიანთი ქალაქი სიმაგრედ აქციეს, რომელსაც შეუძლია გაუმკლავდეს და უკუაგდოს ფაშისტთა ჯარების იერიში.

ხოდაკოვი, ლიკავსკი,
საკდესის სპეციკორი.

ფრიც ვებერის იდეალები

ბერლინის გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი“ სწერს: „რუსების წინააღმდეგ მებრძოლი თვითეული ჯარისკაცის გულში უწმინდესი იდეალები ღვიეს“.

აი გერმანელი ჯარისკაცის ფრიც ვებერის დღიური.

„26 ივნისი. ქალაქ დუბნოში სიმშვიდეა. რუსეთში ნაშოვნი ნადავლიდან საცალებს გამოცვლა.

7 ივლისი. ორგანიზაცია ვუყავი 2 ქათამს და გადავამუშავე, სამწუხაროდ, ვერ დავასრულე.

11 ივლისი. რეკვიზიცია. დღეს უხალისოდ იძლეოდნენ, მხოლოდ მაშინვე და ბევრს.

12 ივლისი. სადილის შემდეგ ბრძანება ძარცვის წინააღმდეგ.

18 ივლისი. ვიშოვნეთ კარტოფილი.

22 ივლისი. დავკალი და დავამუშავე ღორი.

25 ივლისი. საველე სამზარეულო ტალახში გაიჩხირა. ამიტომ ვახშამს რეკვიზიცია ვუყავით.

26 ივლისი. კოლონამ ღორი დაჰკლა. პირველხარისხოვანი ხორცი და ქონია.

27 ივლისი. რეკვიზიციის დროს იქვე მახლობლად ვიყავი.

28 ივლისი. მთელი დღე არაფერი მიჭამია“.

ამით თავდება დღიური. ორი დღის შემდეგ წითელი არმიის მებრძოლებმა „დაამუშავეს“ ფრიც ვებერი.

აი მათი უწმინდესი იდეალები—კარტოფილიდან ღორის ხორცამდე!

ფრიც ვებერი გამონაკლისი როდია, და თუ გერმანიის სარდლობა შეშფოთებულია მძარცველობით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გერმანელი გენერლებიც არ არიან სულელები—მათ თვითონ სურთ „ორგანიზაცია უყონ“ ქათმებს და „დაამუშაონ“ ღორები.

ჩვენ აქ სასადილო როდი გვაქვს ამ ბანდიტებისათვის. ფრიც ვებერი და მრავალ ასეულ ათასობით სხვანი უკვე გაეცნენ, თუ რა ფასად ჯდება რუსული ქათმის ხორცი. რიგი სხვებზეა!

ილია ერენბურგი

(„კრასნაია ზვეზდა“, 30/VIII—1941 წ. № 204).

„კიკვიძე“ რუსთაველის სახელობის თეატრში

გუშინ, 5 სექტემბერს, ლენინის ორდენის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა 1941-42 წლის სეზონი გახსნა ვ. დარასელის პიესით „კიკვიძე“.

სპექტაკლმა წარმატებით ჩაიარა. მაყურებლებმა პიესის ავტორი, დამდგმელი და შემსრულებლები მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. პრემიერაზე მთავარ როლებს ასრულებდნენ: ა. ვასაძე (კიკვიძე), გ. დავითაშვილი (მედოვსკი), გ. სალარაძე (ტიტიკო), რ. ბერიძე (ელიზავეტა), გ. კიკნაძე (ბრაგინი), დ. გაგუა (შილინი), ალ. აფხაიძე (მინაი), შ. გიგაური (ნიკოლაი), ნ. დავითაშვილი (ბრასკოვია), ალ. კუპრაშვილი (გრიშუტკა) და სხვ.

სპექტაკლი დადგა სსრკ სახალხო არტისტმა ა. ვასაძემ.

სიზრინის მიმართვა საბჭოთა მუშებისადმი

ედინბურგი, 4 სექტემბერი (საკდესი). ტრედუნიონთა კონგრესის გენერალურმა მდივანმა სიტრინმა საკდესის კორესპონდენტს გადასცა შემდეგი მიმართვა საბჭოთა მუშებისადმი: „იმედი მაქვს, რუსი ხალხი მიხვდება, რომ ჩვენი წინადადება ინგლის-რუსეთის პროფკავშირული კომიტეტის შექმნის შესახებ უფრო მეტი რამ არის, ვიდრე მეგობრული ჟესტი. ეს იმის საწინდარია, რომ ინგლისის მუშათა კლასს გადაწყვეტილი აქვს მაქსიმალური დახმარება გაუწიოს და ხელი შეუწყოს საბჭოთა რუსეთს და ამ დახმარების გაწევა და ხელშეწყობა განაგრძოს ომში გამარჯვების მოპოვებამდე.

ის მსხვერპლი, რომელიც იძულებული არიან გაიღონ რუსმა და ინგლისელმა ხალხებმა ამ საშინელ ბრძოლაში, კიდევ უფრო მჭიდროდ დაგვაკავშირებს, და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კავშირი შენარჩუნებული იქნება და გამოხატულებას ჰპოვებს ერთაშორის ნაყოფიერი თანამშრომლობით მშვიდობიანობის ინტერესებისათვის. აღუთქვამ რუს მუშებს, რომ ყოველივე შესაძლებელს გავაკეთებთ. რათა მუშათა კლასის მუდმივ საქმიან ორგანოდ გადაიქცეს ჩვენი ინგლის-საბჭოთა კავშირის პროფკავშირული კომიტეტი“.

ინგლისის მაღაროელთა ფედერაციის მდივან ედვარდსის განცხადება

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკდესი). ინგლისის მაღაროელთა ფედერაციის მდივანმა ები ედვარდსმა საკდესის კორესპონდენტს განუცხადა: „მივესალმები ინგლის-საბჭოთა პროფკავშირების კომიტეტის შექმნის წინადადებას. ყოველი მაღაროელი კმაყოფილებით გაიგებს, რომ კვლავ დამყარებულია კავშირი მუშებთან, რომლებმაც ძმური დახმარება გაგვიწიეს ბრძოლის პერიოდში 1926 წელს. ჩვენ, მაღაროელებმა, უკვე გამოვთქვით ჩვენი სურვილი სსრ კავშირთან ურთიერთობის დამყარების შესახებ, როდესაც მივიღეთ გადაწყვეტილება შევაგროვოთ 70 ათასი გირვანქა სტერლინგი საბჭოელ მოძმეთათვის მედიკამენტების შესაყიდად. ფულის შეგროვების წინასწარი შედეგი ცხადჰყოფს, რომ მაღაროელთა ფედერაციის აღმასკომის მიერ განსაზღვრული თანხა საგრძნობი გადამეტებით იქნება შეგროვებული. აზრთა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარება პრაქტიკულ ღონისძიებებს წარმოადგენს ორივე ქვეყნის მუშათა კლასისათვის. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნების ბალნეებისათვის, რომელნიც მხარდამხარ იბრძვიან, რათა გაანადგურონ სისხლისმსმელი ჰიტლერი და ცივილიზაციის მტრები, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ყველაზე გავლენიან პროფკავშირებს შორის დამყარებულ ამ კავშირს.“

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 4 სექტემბერი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 2 სექტემბერს, ღამით, ბრიტანეთ ინგლისის ყუმბარმშენების თავდასხმაში მონაწილეობდნენ უახლესი 4-მოტორიანი ყუმბარმშენები და ძმიმე ყუმბარმზიდები. მფრინველებმა გარკვევით დაინახეს, რომ ვეებერთელა ყუმბარებმა გერმანიის დედაქალაქის ერთერთი მთავარი ეაგზლის მახლობლად ბეერგან უდიდესი აფეთქება და დიდი ხანძარი გამოიწვიეს. ყუმბარების უმრავლესობა გასქდა საარეწველო რაიონში. გერმანიის ავიაგამანადგურებლებმა სუსტი წინააღმდეგობა გაგვიწიეს.

წუხელ ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს ბრესტის დოკებს.

გერმანიის ავიაციამ 3 სექტემბერს ღამით, ყუმბარა დააყარა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ინგლისის მთელ რიგ პუნქტებს. მსხვერპლი არ არის, ზარალი უმნიშვნელოა.

ხმელთაშუა ზღვის აუზში ინგლისის ძმიმე ყუმბარმშენები 1 სექტემბერს, ღამით, თავს დასხნენ ტრიპოლს. ელექტროცენტრალზე ჩამოყრილმა ყუმბარებმა რამდენიმე ადგილას ხანძარი გამოიწვიეს. მწყობრიდან გამოყვანილია 2 საზენიტო ქვემეხი. სხვა ესკადრილიამ ყუბის მსხვერპლი, ინგლისელ ბალეტმეისტერ ფრედერიკ ეშტონი, ინგლისელ ბალეტმეისტერ ანტონ დოლინი, ინგლისელ ბალეტმეისტერ ალბერტ ბანტინგი, ინგლისელ ბალეტმეისტერ ანტონ ბანტინგ